შ.პ.ს ლილეო

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
სადემონტაჟო სამუშაოებზე

(ვარდების მოედნის მიმდებარედ არსებული
კონსტრუქციების დემონტაჟი)

დირექტორი: ა.ყურაშვილი

შეასრულა: ა.ყურაშვილი

ქ.თბილისი 2013 წ.

შინაარსი

I განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი – ქ.თბილისი, ვარდების მოედნის მიმდებარედ არსებული დარჩენილი კონსტრუქციების დემონტაჟი
2. მშენებლობის პირობების დახასიათება – სადემონტაჟო სამუშაოები
3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები
4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია
5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
6. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა
7. უსაფრთხოების ტექნიკა – დაცული იქნას უსაფრთხოების ტექნიკა
8. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი – ბულდოზერი, მოძრავი პნევმატური ჩაქუჩი (ებ.წ. კოდალა)

III გამოყენებული ლიტერატურა

IV მშენებლობის წარმოების გრაფიკი

გრაფიკული ნაწილი (მ.ო.პ.-1; მ.ო.პ.-2)



I განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი

ა) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები: შ.პ.ს "აი სი ჯი +"-ის მოთხოვნა აღნიშნულ მისამართზე არსებული კონსტრუქციების დემონტაჟის ჩატარება და სამშენებლო ნარჩენების გატანა.

– დავალება პროექტირებაზე;

– პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები;

– მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;

ბ) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტის ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

2. მშენებლობის პირობების დახასიათება

მშენებლობისათვის გამიზნული ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისი, ვარდების მოედნის მიმდებარედ.

არსებულ მოედანზე უნდა მოხდეს ეგ.წ ყოფილი "ანდროპოვის ყურები"-ის დარჩენილი კონსტრუქციების დემონტაჟი.

3. სამშენებლო ობიექტის დახაზიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

საპროექტო სადემონტაჟო ნაგებობა წარმოადგენს გასულ წლებში განხორცილებულ დემონტაჟის სამუშაოებიდან დარჩენილ ფუნდამეტის და ნანგრევების კონსტრუქციულ კომპლექსს. სადაც არქიტექტურული პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ნაგებობის იმ დონემდე დემონტაჟი, რომ შემდგომ მოხდეს დარჩენილ არამატურაზე სხვა საპროექტო ობიექტის მიბმა, კერძოდ არქიტექტურულ პროექტში მოცემული ნიშნულების დონეებამდე უნდა დარჩეს არმატურის ნაშვერები (+7.80, +5.72, +4.65, +4.10 +3.23, +2.95) ასევე ხდება გვირაბის გაძლიერება სამშენებლო მანქანების და დატვირთვების შენარჩუნების მიზნით.

შენობის მზიდი ელემენტები განხორციელებულია შემდეგი კონსტრუქციებისგან:

საძირკვლები:- მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯოვანი;

სვეტები: - მონოლითური რკინაბეტონის;

გადახურვის ფილები - რკინაბეტონის ანაკრები ფილებისაგან;

404902496 * LTD "LILEO" * GEORGIA

4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

ა) სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია- გულისხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისით სნ და წ 3.01.01 – 85 №1 და №2 დებულებების მიხედვით.

ბ) სამშენებლო – სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აუცილებელია უსაფრთხოების და ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვა. ამ მიზნით მუშა მოსამსახურეებზე უნდა ჩატარდეს ინსტრუქტაჟი გამოცდების ჩატარებით.

გ) წარმოდგენილი მოპ – I მოცულობითა და შინაარსით შეესაბამება სნ და წ 5.03.01 – 43 №1.15 მოთხოვნილებებს საქალაქო განაშენიანებაში სამუშაოთა წარმოების თაობაზე.

5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

1. მოსამზადებელი სამუშაოები:

მოსამზადებელი სამუშაოებით იწყება სამშენებლო ციკლი

– ტერიტორიის დაგეგმარება – ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებისგან გასუფთავება, გატანა.

2. მოედნის კონსოლურად გადმოსული კავშირების ჩაჭრა არსებულ სვეტების ნარჩენებთან.

– დროებითი წყლის გადამყვანების, კანალიზაციის და სამშენებლო მოედნის ელ. მომარაგების მოწყობა;

ა) სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა ცხრილში ჩამოთვლილი (II თავი) მანქანა – მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

გ) სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში და საინჟინრო ქსელების გაყვანისას სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს შენობისა და ნაგებობის გეომეტრიული პარამეტრების გეოდეზიური კონტროლი. გეომეტრიული პარამეტრების გეოდეზიური კონტროლი გამოიხატება შემდგომში:

6. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

სამუშაოების ხანგრძლივობისა და სადემონტაჟო სამუშაოების წარმართვის თვალსაზრისით ობიექტი – მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით რთული კატეგორიისაა.

მშენებლობის ხანგრძივობის დასადგენად ვსარგებლობთ სნ და 5.03.01 – 43 (ხანგრძლივობის ნორმები) გამოყენებით (მონუმენტი) სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობას ვადგენთ T=3 თვეს



გვ. 4 პ. 17 მიხედვით 8 ბალიანი სეისმურობის გათვალისწინებით (იხილეთ მშენებლობის წარმოების გრაფიკი).

7 უსაფრთხოების ტექნიკა

ა) უცხო პირთა, აგრეთვე სადემონტაჟო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა მომსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.

ბ) მუშა – მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.

გ) სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა – მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით.

დ) მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო – სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III – 4 – 80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ – საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.
2. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.
3. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.
4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
5. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილზე გადატანა მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.
6. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. თელასის ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით, ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურებიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება, საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება.

საქართველო, შპს „ლილეო" * GEORGIA "LILEO" LTD * 404902496

7. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

ა) სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება მოხდება ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. დემონტაჟი აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვით და ჯაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

ბ) გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

გ) დაუმუშავებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარ მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

დ) სადემონტაჟო სამუშაოების დამთავრების პერიოდში მოედნიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოშრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხვდეს მტვრის გაბნევა და სელიტებულ ზონაში.



II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

№	დასახელება	მარკა	რაოდ.ცალი
1	თვითმცლელი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სხვადასხვა სამშ. ნარჩენების გასატანად		3
3	ბულდოზერი		2
4	შესადუღებელი აბრეშატი	სო-48	1
7	ელ. შესადუღებელი აპარატი	კომპ.	2
9	მოძრავი ანევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა		
10	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები, ბრეზი, წერაქვები და სხვა		
მითითებები: რეკომენდირებული მანქანა–დანადგარები და ინსტრუმენტ. მოწყობილობა შესაძლებელია შეიცვალოს ანალოგიური ან უფრო ახალი დანადგარებით.			





ფორმატი	A-4

Lileo

პირობითი აღნიშვნა:

დამკვეთი: შპს „აი სი ჯი +"

მისამართი: ქ. თბილისი, ვარდების მოედნის მიმდებარედ

პროექტის დასახელება: არსებული კონსტრუქციების დემონტაჟის პროექტი

პროექტის ნაწილი: არქიტექტურული

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ა.ჭურაშვილი	
მთ. კონსტრუქტორი	ა.ჭურაშვილი	
კონსტრუქტორი	ა.ჭურაშვილი	
შემსრულებელი ორგანიზაცია	შ.პ.ს ლილეო	

ფურცლის დასახელება:

ფასადი 3-ა ღერძებში

თარიღი	23.07.2013 წ.	მასშ.	1:200
ფურცლების რაოდენობა			
ფურცლის ნომერი №			

ფორმატი | A-4

Lileo

ვარდების მოედნის მიმდებარედ დარჩენილი კონსტრუქციების დემონტაჟის ესკიზური პროექტი



№1 პნევმატური მოძრავი აგრეგატი (კოდალა)

პირობითი აღნიშვნა:

დამკვეთი: შპს „აი სი ჯი +"

მისამართი:
ქ. თბილისი, ვარდების მოედნის მიმდებარედ

პროექტის დასახელება:
არსებული კონსტრუქციების დემონტაჟის პროექტი

პროექტის ნაწილი:
არქიტექტურული

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ა.ჟურაშვილი	
მთ. კონსტრუქტორი	ა.ჟურაშვილი	
კონსტრუქტორი	ა.ჟურაშვილი	
შემსრულებელი ორგანიზაცია	შ.პ.ს ლილეო	

ფურცლის დასახელება:

ფასადი ვ-ა ღერძებში

თარიღი	23.07.2013 წ.	მასშ.	1:200
ფურცლების რაოდენობა			
ფურცლის ნომერი №			

სამუშაოთა წარმოების გრაფიკი

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე			II თვე			III თვე		
		10	20	30	10	20	30	10	20	30
1	კონსტრუქციების დემონტაჟი					80				
2	სამშენებლო ნაგვის გატანა მოედნიდან					90				

შ.პ.ს "ლილეო"
დირ: ა.ყურაშვილი

